

**შპს ველოქს ედუქეიშენ
კონსოლიდირებული
ფინანსური ანგარიშგება**

**საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31
დეკემბერს**

სარჩევი

მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლისთვის	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლისათვის	5
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6-11

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.....	3
2. მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	4
3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	5
1. ზოგადი ინფორმაცია	Error! Bookmark not defined.
2. ფუნქციონირებადი საწარმო	Error! Bookmark not defined.
3. მომზადების საფუძვლები	Error! Bookmark not defined.
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე.....	Error! Bookmark not defined.
5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები	Error! Bookmark not defined.
6. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	Error! Bookmark not defined.
7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	Error! Bookmark not defined.
8. რისკების მართვა.....	Error! Bookmark not defined.
9. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	Error! Bookmark not defined.
10. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	Error! Bookmark not defined.

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობა	31/12/2022	31/12/2021
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5 188 782	3 159 365
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 466 816	1 016 599
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	56 233	72 564
მარაგები	13 777	18 898
სხვა მოკლევადიანი აქტივები	6 535	11 151
სხვა არამატერიალური აქტივები	456 653	331 535
ძირითადი საშუალებები	588 597	637 095
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	7 777 393	5 247 207
ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	60 000	60 000
სავაჭრო ვალდებულებები	204 991	215 711
ანარიცხები	2 157 690	684 062
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	815	-
საგადასახადო ვალდებულებები	-	-
გამომუშავებული შემოსავალი	4 391 414	1 766 205
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1 499 708	1 365 345
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	7 883 014	10 715 295
მიღებული გრანტები	-	-
სხვა ვალდებულებები	82 384	138 476
სულ ვალდებულებები	16 280 016	14 945 094
საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	6 969 891	6 969 891
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-15 472 514	- 16 667 778
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	-	-
სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი	-8 502 623	-9 697 887
სულ საკუთარი კაპიტალი	-8 502 623	-9 697 887
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	7 777 393	5 247 207
სულ მოკლევადიანი აქტივები	6 732 143	2 554 610
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	4 005 588	1 403 821

კომპანიის დირექტორი

რამაზ კუკულაძე

ფინანსური სამსახურის უფროსი

გიორგი თუშიშვილი

2. მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საქმიანობის შედეგები	31/12/2022	31/12/2021
ნეტო ამონაგები მომსახურების გაწევიდან	9 045 204	7 318 899
საერთო მოგება	9 045 204	7 318 899
სხვა საოპერაციო შემოსავალი	40 644	9 945
დასაქმებულთა ანაზღაურება	- 3 703 884	- 2 428 911
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	- 257 472	- 251 427
საპროცენტო შემოსავალი	27 807	57 920
საპროცენტო ხარჯი	- 871 545	- 841 362
იჯარის ხარჯი	- 720 000	- 770 000
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	- 3 298 270	- 2 332 646
სულ საოპერაციო ხარჯები	- 8 782 720	- 6 556 481
საოპერაციო მოგება	262 484	762 418
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გადაფასებიდან	953 159	585 021
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	- 20 378	- 16 833 297
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	1 195 265	- 15 485 858
მოგების გადასახადის ხარჯი		- 129 288
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	1 195 265	- 15 615 146
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1 195 265	- 15 615 146
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მესაკუთრეებზე მისაკუთვნილები მთლიანი შემოსავალი	1 195 265	- 15 615 146
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	1 195 265	- 15 615 146
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	- 9 697 887	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		6 969 891
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		- 1 052 632
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	- 8 502 623	- 9 697 887

კომპანიის დირექტორი

ფინანსური სამსახურის უფროსი

რამაზ კუკულაძე

გიორგი თუშიშვილი

3. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	4 847 914	1 746 386
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-221 305	- 20 178 452
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-2 108 463	17 794 215
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	2 518 146	- 637 851
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	- 488 729	- 178 969
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	3 159 365	3 976 185
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	5 188 782	3 159 365

კომპანიის დირექტორი

ფინანსური სამსახურის უფროსი

რამაზ კუკულაძე

გიორგი თუშიშვილი

საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ველოქს ედიუქეიშენის შვილობილი ალტუ უნივერსიტეტი დაარსდა 2002 წელს სახელწოდებით "საქართველოს საგადასახადო-საბაჟო აკადემია". დამფუძნებლებს შორის ამ სფეროს წამყვანი სპეციალისტები და მეცნიერები იყვნენ. 2012 წელს საგანმანათლებლო და შრომის ბაზრის დინამიკის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის ახალი მენეჯმენტის ხედვით, სასწავლებელს სახელი შეეცვალა და "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი" (თოუ) დაერქვა. თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტმა სწრაფად განვითარებადი და მზარდი უნივერსიტეტის სახელი დაიმკვიდრა. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მისი დაარსებიდან დღემდე ის მცირე ზომის სასწავლო დაწესებულებიდან ფართო სპექტრის, მრავალპროფილურ უნივერსიტეტად ჩამოყალიბდა. დღეს თოუ თავისი აკადემიური პერსონალით, სტუდენტებითა და კურსდამთავრებულებით ასობით დარგის ექსპერტსა და ინტელექტუალს აერთიანებს. განსაკუთრებით ნაყოფიერი გამოდგა თოუს თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორებთან. მათი ექსპერტიზის გათვალისწინებით და გამოცდილების გაზიარებით, ამ წლების განმავლობაში შეიქმნა ახალი სკოლები, დეპარტამენტები, ცენტრები, განხორციელდა ინოვაციური კვლევები, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენციები და სემინარები. თოუმ მრავალ ცნობილ მეცნიერს, მწერალს, ჟურნალისტსა და პოლიტიკოსს უმასპინძლა. თბილისის ღია უნივერსიტეტის კამპუსიც მუდმივად ვითარდებოდა. დღეს უნივერსიტეტი ახალ, უახლესი სტანდარტებით აშენებულ შენობაშია განთავსებული და სრულად აღჭურვილ აუდიტორიებს, სამეცნიერო ლაბორატორიებს, სიმულაციურ ცენტრებს, სტუდენტურ სივრცეებსა და ბიბლიოთეკას მოიცავს. თოუ პერმანენტულად ვითარდება რეგიონში წამყვანი უნივერსიტეტის სახელის დასამკვიდრებლად და ემსახურება მიზანს: უნივერსიტეტში მულტიკულტურული და დემოკრატიული კლიმატის შექმნით, ხელი შეუწყოს მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების მქონე პიროვნების ფორმირებას.

2021 წლის თებერვლიდან უნივერსიტეტის 100% წილის მფლობელი გახდა შპს ველოქს ედიუქეიშენ. ახალი დამფუძნებლისთვის კვლავ პრიორიტეტია უნივერსიტეტის განვითარება, ახალი აკადემიური პესონალის მოზიდვა და მეტი შესაძლებლობის შეთავაზება სტუდენტებისა და პერსონალისთვის. 2021 წლის 31 დეკემბერს კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა იყო 146. კომპანიის საქმიანობის განხორციელების ძირითადი ადგილის მისამართია: საქართველო, თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N 2. 2021 წლის ნოემბრიდან განხორციელდა უნივერსიტეტის რებრენდიგი ახალი სახელწოდებით **ალტუ უნივერსიტეტი**.

საანგარიშო წლის ბოლოს შპს ალტუ უნივერსიტეტმა დააფუძნა ფონდი, რომლის მიზანი არის სტუდენტების და აკადემიური პერსონალისთვის დამატებითი სახსრების/გრანტების მოძიება, მათ შორის სამეცნიერო კვლევებისთვის. სოციალურად დაუცველი ანდა წარმატებული სტუდენტების წახალისებისთვის და სხვა. იქიდან გამომდინარე, რომ 2021 წელს „ალტუ უნივერსიტეტის ფონდს“ არ ქონდა არანაირი ტრანზაქცია, 2021 წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას არ მოხდა უნივერსიტეტის ფინანსურ ანგარიშგებასთან კონსოლიდაცია.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც ეულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირე, 12 თვეს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე

3. მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი. 2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის რეზიუმე

სამუშაო ვალუტა. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავალისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა არ ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ეს არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით და კონკრეტულად გამჟღავნებული არ არის კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ამონაგების აღიარება. საქონლის ან მომსახურების მიწოდების შედეგად წარმოშობილი შემოსავალი აღიარებულია შემოსავლებში შესაბამისი საქონლის ან მომსახურების გაცვლისას. სტუდენტებზე სასწავლო კურსების სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულება

განაწილებულია საანგარიშგებო წლის მიხედვით. შემოსავალი აღიარებულია ამ აკადემიური მონაკვეთების შესაბამისად. მოკლევადიანი კურსებისთვის, შემოსავალი აღიარდება კურსის ხანგრძლივობის პერიოდში. შემოსავლები განისაზღვრება მიღებული კომპენსაციების ან მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული დაბრუნებები და სავაჭრო ფასდაკლებები.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის საქმიანობის შედეგებში.

გადასახადები

მოგების გადასახადი მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). „კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

საშემოსავლო გადასახადი „კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%.

ქონების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „უნივერსიტეტის“ ქონება იბეგრება ქონების გადასახადით. 2022 წელს მოქმედი საგადასახადო კოდექსით არ მოქმედებდა რაიმე შეღავათი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის ქონების გადასახადზე. შვილობილი კომპანიის (ალტუ უნივერსიტეტი) მიერ წარდგენილი 2022 წლის დეკლარაციის მიხედვით გადასახდელი ჰქონდა 4 636 ლარი ქონების გადასახადი. თავად დამფუძნებელ კომპანიას არ გააჩნია დასაბეგრი ქონება საანგარიშგებო პერიოდში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და გაუფასურების ზარალით, საჭიროების შემთხვევაში. ღირებულება გამოითვლება ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალებების კატეგორიები

ცვეთის განაკვეთები

აღჭურვილობა და ავეჯი

3-10

იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები წელი

10 წელი

ცვეთადი ღირებულება არის ძირითადი საშუალების ღირებულება, შემცირებული მისი ნარჩენი ღირებულებით. ნარჩენი ღირებულება ფასდება იმ თანხის ოდენობით, რასაც კომპანია ამჟამად მიიღებდა მოცემული აქტივის გაყიდვიდან, გაყიდვის დანახარჯების გამოკლებით, აქტივი უკვე იმ ასაკსა და მდგომარეობაში რომ იყოს, რაც მოსალოდნელია სასარგებლო მომსახურების ვადის დასასრულს. ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი ყოველი ფინანსური წლის ბოლოს გადაისინჯება. აღრინდელი შეფასებების ცვლილების შედეგი პერსპექტიულად აღირიცხება სააღრიცხვო შეფასების ცვლილების სახით. ძირითადი საშუალების გაყიდვიდან ან გასვლიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და მოგება-ზარალშიაღიარდება. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი სასრული მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივები აისახება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ამორტიზაციით და დაგროვილი გაუფასურების ზარალით. ამორტიზაცია წრფივი მეთოდით აღიარდება მომსახურების ვადის განმავლობაში. შეფასებული მომსახურების ვადა და ამორტიზაციის დარიცხვის მეთოდი ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გადაისინჯება, ხოლო შეფასების ცვლილების ნებისმიერი გავლენა პერსპექტიულად აისახება. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასვლისას, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება მისი გამოყენების ან გასვლისგან. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობები ან ზარალი, რაც განისაზღვრება, როგორც სხვაობა გასვლის წმინდა ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის, მოგება-ზარალში აღიარდება აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

სასაქონლო-მატერიალური

მარაგები მარაგი აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. კომპანიის მარაგებს შეადგენს საწვავი, სარემონტო მასალები.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ანარიცხები

ანარიცხები აღიარდება, როდესაც კომპანიას ექნება მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად და მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება მოვალეობის ანგარიშსწორება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხის სახით აღიარებული თანხა არის საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორების საუკეთესო შეფასება, ამ მოვალეობასთან დაკავშირებული რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხის შეფასება ხდება მიმდინარე მოვალეობის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ფულადი ნაკადების შეფასებით, მისი საბალანსო ღირებულებაა ამ ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება. როდესაც მოსალოდნელია, რომ ანარიცხის ანგარიშსწორებისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებელი მთლიანად ან ნაწილობრივ ამოიღება მესამე მხარისგან, მაშინ დებიტორული დავალიანება აღიარდება აქტივის სახით, როდესაც გარდუვალია ანაზღაურების მიღება და შესაძლებელია დებიტორული დავალიანების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გასვლის ალბათობა უმნიშვნელოა. პირობითი აქტივები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, ის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს და საბანკო ანგარიშებს. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის 31 დეკემბერს არსებული კურსით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიის მიერ მიღებული შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

მე-4 შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას ხელმძღვანელობას მოეთხოვება განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან. აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

განუსაზღვრელობის შეფასების ძირითადი წყაროები

დაბეგვრა

ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამოც კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები და ჯარიმების თანხა დაეკისროს. კომპანია დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია, მსგავს აქტივებთან დაკავშირებული მათი გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც იყენებენ ამ აქტივს. ამ გარემოებების ან შეფასებების ცვლილებამ შეიძლება განაპირობოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

საექვო ვალების ანარიცხები

კომპანია საექვო ვალების ანარიცხებს ქმნის, რათა აღრიცხოს მომხმარებლების მიერ გადახდების განხორციელების უუნარობის შედეგად მიღებული შეფასებული ზარალი. საექვო ვალების ანარიცხების აღეკვატურობის შეფასებისას ხელმძღვანელობა თავისი შეფასების საფუძველად იყენებს საერთო ეკონომიკურ მდგომარეობას, დებიტორული დავალიანებების ნაშთების ხანდაზმულობას, წარსულში ჩამოწერის გამოცდილებას, მომხმარებლის კრედიტუნარიანობასა და გადახდის პირობების ცვლილებებს. ეკონომიკაში, დარგში ან კონკრეტული მომხმარებლის გარემოებების ცვლილებებმა შეიძლება განაპირობოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული საექვო ვალების ანარიცხების ცვლილება.

6. ამონაგები მომსახურობიდან

კომპანია საქმიანობს განათლების სექტორში და მისი შემოსავლები ძირითადად ფორმირდება ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტებისთვის გაწეული სწავლის მომსახურებიდან. 2022 წლის განმავლობაში კომპანიის ამონაგებმა შეადგინა **7 318 899** ლარი.

7. საპროცენტო შემოსავლები

2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებულ წელს კომპანიის საპროცენტო შემოსავალი 57 920 ლარი მოიცავდა კომპანიის მომსახურე ბანკებში განთავსებულ ფულადი ნაშთებიდან ხელშეკრულების შესაბამისად მიღებულ საპროცენტო შემოსავალს.

8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ხარჯის დასახელება	2022	2021
ბანკის საკომისიო	21 315	13 027
კომპიუტერის ხარჯი	4 317	1 736
კომუნალური ხარჯები	178 418	95 060
კომუნიკაციის ხარჯი	38 227	18 479
მივლინების ხარჯი	87 677	1 355
მიმდინარე რემონტის ხარჯი	14 523	7 402
რეკლამის ხარჯი	1 452 996	1 199 861
საგადასახადო ხარჯი	5 011	8 640
საკანცელარიო ხარჯი	12 681	40 516
საკონსულტაციო ხარჯები	152 392	107 167
სამეურნეო ხარჯი	-	8 219
სტუდენტთა სტიპენდიები	11 956	21 341
სტუდენტური თვითმართვლობის ხარჯები	20 962	35 111
სხვადასხვა ხარჯი	1 199 284	681 128
ტრანსპორტირების ხარჯები	21 335	9 643
წარმომადგენლობითი ხარჯი	23 128	8 326
საპენსიო ხარჯი	54 048	32 687
სულ	3 298 240	2 289 700

9. ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

2022 წლის განმავლობაში კომპანიამ გაწია იჯარის ხარჯი 720 000 ლარი. კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს მიწა 2608 კვ.მ და მასზე განთავსებული 12 865 კვ.მ ფართის შენობა - უნივერსიტეტის შენობა.

10. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

ლარი	აღჭურვილობა და ავეჯი	იჯარით აღებული ძირითადი საშუალებები	სხვა არამატერიალური აქტივები	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	633 250	12 851	331 535	977 636
მიღებულია 2022 წლის საანგარიშო პერიოდში	220 753		49 443	270 196
დარიცხული ცვეთა	227 237			227 237
გასული/ჩამოწერილი	55 193			55 193
წმინდა საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	571 572	12 851	331 535	915 958

11. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ლარი	2022წ 31 დეკ	2021წ 31 დეკ
ფულადი სახსრებში ლარში და უცხოურ ვალუტაში	5 188 782	3 159 365
ფულადი სახსრების ექვივალენტები		
სულ ფულადი სახსრები	5 188 782	3 159 365

12. მიღებული ავანსები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას ერიცხევა ავანსად მიღებული თანხები **4 391 414 ლარი**, რომელიც ბალანსის „გამომუშავებული შემოსავლის“ მუხლში არის წარმოდგენილი. მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარ გადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორც ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება. წინასწარ გადახდილი თანხების 100% წარმოადგენს სტუდენტებისაგან მიღებულ ავანსებს. ზემოაღნიშნული თანხა მოიცავს მიღებულს გრანტს 162 134 ლარს (იხ. შენიშვნა 16), ასევე სტუდენტების მიერ ავანსად ჩარიცხულ სწავლის საფასურს **4 229 280 ლარს**.

13. გადავადებული შემოსავალი და სხვა ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას ერიცხება ხელშეკრულების საფუძველზე მიზნობრივი დანიშნულებით განხორციელებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ნაშთი **156 995 ლარი**, რომელიც ბალანსის „გამომუშავებული შემოსავლის“ მუხლში არის წარმოდგენილი. 2016 წლის 10 დეკემბერს ჩინეთის კონფუცის ინსტიტუტის სათაო ოფისს (HANBAN) აღმასრულებელი დირექტორსა და შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (ანუ ალტე უნივერსიტეტის) მმართველობითი საბჭოს პრეზიდენტს შორის დაიდო ხელშეკრულება, თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტში კონფუცის კლასის გახსნის შესახებ. შპს ღია სასწავლო უნივერსიტეტში კონფუცის კლასი არის არაკომერციული დაწესებულება, რომლის მიზანია ჩინური ენის კურსებისა და კულტურის დაფინანსებით ხელი შეუწყოს ჩინელ და ქართველი ახალგაზრდებს შორის ურთიერთგაგებისა და მეგობრობის გამტკიცებას. ორივე მხარის ვალდებულებაა ფინანსური, ადამიანური და მატერიალური მხარდაჭერა კონფუცის კლასის პროექტისათვის.

2021 წლის 30 ივნისს შპს ალტე უნივერსიტეტსა და ბოკერიას სახელობის კლინიკას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტი ურიცხავს 100 000 ლარს კლინიკას სამედიცინო პროფილის სტუდენტების კლინიკაში პრაქტიკული სწავლებისთვის და კლინიკის ინფრასტრუქტურით სარგებლობის სანაცვლოდ. 2022 წლის 31 დეკემბრისთვის უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული თანხა კლინიკისთვის ჩარიცხული არ იყო.

14. რისკების მართვა

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკთან: სავალუტო, საკრედიტო და ლიკვიდობის რისკები. რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

ა) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეუქმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს კომპანიის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად. ამ ტიპის რისკებს ხელმძღვანელობა აკონტროლებს ვადიანობის ანალიზით, მომდევნო ფინანსური პერიოდის სტრატეგიის დაგეგმვისას. ლიკვიდობის რისკის სამართავად კომპანია ყოველდღიურად აკონტროლებს მომავალ მოსალოდნელ ფულად ნაკადებს და ატარებს ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს რომელიც მას სჭირდება იმ რწმუნებისთვის, რომ მას გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

ბ) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. უნივერსიტეტი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან. თუმცა ეს რისკი დაზღვეულია იმ ფაქტორით რომ უცხოელი სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტის მედიცინის სკოლაში სწავლობენ, სწავლის საფასურს იხდიან მყარ ვალუტაში, აშშ დოლარში. უნივერსიტეტს ფულად ნაკადში და ფულის ნაშთის სტრუქტურაში არის როგორც ლარი, ასევე აშშ დოლარი, რაც გარკვეულად ხელს უწყობს სავალუტო რისკების შემცირებას.

კაპიტალის მართვა

უნივერსიტეტის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- მოახდინოს უნივერსიტეტის ფუნქციონირებადობის უზრუნველყოფა ისე, რომ გააგრძელოს ეფექტურად საქმიანობა;
- ჰქონდეს ადეკვატური უკუგება დამფუძნებლებისთვის.

უნივერსიტეტი რისკის პროპორციულად აწესებს საჭირო კაპიტალის ოდენობას. უნივერსიტეტი მართავს საკუთარი კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს მის კორექტირებას ეკონომიკური გარემოებებისა და აქტივების რისკიანობის შესაბამისად.

15. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან არანაირი ოპერაციები არ ჰქონია, გარდა დაქირავებით მუშაობისა. 2022 წლის განმავლობაში ასეთ პირებს კომპანიამ ხელფასის სახით გადაუხადა ჯამში 435 934 ლარი.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება უნივერსიტეტის პრეზიდენტმა გამოსაცემად დაამტკიცა 2023 წლის 02 სექტემბერს.

შპს ალტე უნივერსიტეტის პრეზიდენტი

რამაზ კუკულაძე -----

შპს ალტე უნივერსიტეტის ფინანსური ადრიცხვისა და რეპორტირების სამსახური

გიორგი თუშიშვილი

